

რედაქცია

კალაგინის ბროსეტიკული, აკ. მუსხრისკის ხელნაწი... კლუბის ქვემოთ.

ხელის-მომწერა

მიიღება... რედაქციაში. გას... რედაქციაში. В редакцію "Дრობა" "Иверія".

დროება - ინფორმაციის უსანი

წელიწადში. 6 თვეს. პირველ

დროებას... 14 მან... 8 მ... 5 მ... 9 მან... 5 მ... 3 მ... 7 მან... 4 მ... 2 მ... ცალკე ნომერი... დროებას... დროს 5 კაბ.

დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათის ბარდა

უსანი განცხადებისა

დროებას... მთავრულით ასოზე... ასოზე შეთანხმებულ... თუ საჭიროება მოითხოვს... განცხადებანი მიიღება...

ამ მოკლე ხანში იხსნება თსლის დავა

სადაც გაისყიდება ყოველ გვარი ბოსტნეულისა და წვანილეულის თეს-ლები. დეზო იმყოფება შადინოვის ქარ-ვასლაში, ბასასხანაში, № 19. ძალიან გარეშე მცხოვრებლებს, ვისაც თესლის დაბარება ჰსურს, შე-უძლიანთ ამ ზემოხსენებულ ადრე-სით დაიბარონ. (5-1)

ტელეგრაფები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

მუთაისი, 12 იანვარს. ნამდვილი ცნობა მოვიდა აქ, რომ სახსრის მს-ლობად სოფ. ჯალაღორთას 24 დეკემ-ბერს დაიკარგა გლეხის დაზარაობის ბე-შვი. ბავშვის მამას ორს ურთავედ აქვს კვლევი, რომელთაც წინა დამეს ამ სო-ფელში გაათიეს. ამ იანვრის 8-ს ხსენს მეგობარი ბავშვის გვამი. გამოძიება ჯერ კიდევ არ გათავებულია.

შაშაძის, 10 ამ თვეს ქუთაისის ქა-ლაქის რეკვამ სმის უმეტესობით გარ-დასწევითა, რომ ქალქის თავს სათხი მსხეთი მოკლეს ჯამაგირისაგანა (400 მან. მაგივრად 3000 მან.) და ერთს წევრს გამოკაბისას დაწინაშეს შეიდასი მან. (1200 მან. მაგივრად).

(სახლთა შორის საგებტოსი)

პარიში, 9 იანვარს. სენატის თავს-მჯდომარედ ხელ-ახლად ლეონ სე

«დროების» ფელტონი, 13 იანვარს.

ურაგოლეტა

ზღაპარი

ქედრად ჯაბუჯისი

(დასასრული\*)

იმ საღამოზე კუდიანიმა დედა-ბერიმა ურაგოლეტა თავის ოთახში დააძი-ნა.

— დანსომე კარგათ, უთხრა კუ-დიანიმა, რომ საქათმეში სამი მამალია: ერთი წითელი, მეორე თეთრი და მესამე შავი. როდესაც ერთი ამთ-განი დაიყივლებს, უნდა მიტხრა იმისი სახელი. პაი შენ, თუ შემცდარხარ: იცოდე, რომ იმ წამსვე შეგტამ!

— ბელეზონი აქ აღარ იქნება, სთქვა ჩუმათ ურაგოლეტამ, დავილუ-პე! ბარდაწყვიტა, რომ არ დეძინა მთელი ღამე.

\*) ის. «დროება» № 5 და 6.

ამოიწიეს და დეპუტატების შალა-ტისა—ლეონ გამბეტმა.

ლეონის ვაჭრების სინდიკატის შალა-ტის ბანკეტზე გამბეტმა, სხვათა შორის, სთქვა: «დავაანსოთ ისეთი დემოკრატია, რომელიც უფრო ძველ-მისილი და უფრო სასიკეთო იყოს ჩვენის ქვეყნისათვის, ვიდრე რომე-ლიმე დანასტია».

დეპუტატთა შალატის სხდომაზედ გამბეტმა მადლობა გამოაცხადა ხელ-მეორედ თავსმჯდომარედ ანჩევისა-თვის და ჩამოთვალა ყველაფერი, რაც დღემდე გააკეთა შალატამ და რაც შემდეგში კიდევ უნდა გააკეთოს. ამ შალატს არ დაიშლება, სთქვა გამ-ბეტმა, სანამ სრულიად არ გაათ-გასუფლებს სტამბას და სანამ გრე-ბების თავისუფლებას არ დაადგენს. სრული მშვიდობიანობა და წესიერება ხელს უწყობს შალატს თავის მუ-შაობაში; ამ მშვიდობიანობის თავდე-ბად არის რესპუბლიკური წესები, რომელიც დამკვიდრდნენ საფრანკეთში. როდესაც შალატს თავის საქმეს შეს-რულებს, ის დაიშლება და შემდეგ თამბამდ მოუყდის მეორე კანკის-ერს, ახალ შალატის დეპუტატთა ანჩევისს. რესპუბლიკას რესპუბლიკუ-რი დაწესებულებანი ეჭირება».

სენატში ლეონ სემ მადლობა გა-მოუყნადა სენატორებს თავსმჯდომარედ ანჩევისათვის. სენატია თავისუფ-ლად განიხილავს ყველა საგნებსა, იმას ესმის ხალხის მოთხოვნილება და იმედი მაქვს, რომ იმდენ მიუდ-გომლობას გამოიჩინოთ, რომ სა-

მართლიანად გადაწყვიტო ყველა იმ მძიმე საგნებს, რომელნიც თქვენ შემ-დეგში უნდა განიხილოთ. სენატს უყვარს პროგრესი (წარმატება), სთქვა ლეონ სემ ბოლას, და დანწუ-ნებული ვარა, რომ, თავის მოგა-ლეობის აღსრულების დროს, საფ-რანკეთის ხალხის მოთხოვნილება და საჭიროების დაკმაყოფილება მუდამ მხედველობაში ექნება.

პატარრო, 9 იანვარს. წუხელ და-მით ანტიგარში ჩერნოგორიის თო-ფის-წამლის მადანის დაეცა მუხი; რამდენიმე სახლი დაინგრა თოფის-წამლის აფეთქებისაგან და 20 კაცი მოკვდა.

ტუშულს მოკლე ფხეზი აქვს.

ტუფილისი, 11 იანვარს.

ამას წინეთ «დროებაში» წავიკით-ხე რედაქციის წერილი შესახებ ბ. ბებურიშვილის და ბ. ბერიძის მეტიჩ-რობისა. რადგანაც ამ ვაჟ-ბატონებმა ეს მეტიჩრობა ჩაიღინეს მალა-მნიშ-ნელობიან საქმეში, ამიტომ მე მსურს ორიოდ სიტყვა დავუმატო რედაქ-ციის გამამხილებელს სტრიქონებსა.

მე არა მსურს შევეხო ჩვენი მო-ხელეების მოწმობის პირველ მუხლისა, იმიტომ რომ საქმისათვის მაგდნი მნიშვნელობა არა აქვს მას, მართლა სთქვა ბ. იანოვსკიმ ის სიტყვები, რომელნიც «დროება» დააბრალო მას, თუ არ უთქვამს. მე მსურს გავ-შინჯო მეორე მუხლი მათი ჩვენე-ბისა, რომლითაც ამტკიცებენ, რომ

— ეს შავი მამალია.

— პუდიანი კიდევ მიბრუნდა გაჯავ-რებული ლოგინისაკენ.

— ბათენებისას კიდევ იყივლა მამალ-მა.

— ბელეზონ, მიშველე! ნელა დაი-ძახა ურაგოლეტამ.

— მაკოცინე, ჩასურჩულა ბელე-ზონმა, გეყოფა მაგდნი უარი!

— აი დედა-ბერი მოუახლოვედა ურა-გოლეტას და აღებს თავის უშველებელ გასისხლიანებულ პირს...

— ბელეზონ, ბელეზონ! დაიყვირა ყმაწვილმა ქალმა. თუ ესლა მიმა-ტოვებ, სწორეთ შენგნით ვიქნები მოკლული!

— ეს თეთრი მამალია! შასუხა ბელეზონმა, რადგან ურაგოლეტას აღერსიან სიტყვების შემდეგ ველარ შეიმავრა თავი.

— ეს თეთრი მამალი იყო! წამო-იყვირა ურაგოლეტამ.

— რა მენადღებება, სთქვა კუდიანი-

სამეგრელოს ხალხს სურს შირველი დღეებიდაცხვე სკოლაში ასწავლონ მანადლეულათ ტოლათ ქართული და რუსულიო.

რომ ესთქვათ: ეს ჩვენი დაუფე-რებელია, ტყუილია, ძალიან ცოტა იქნება. ამიტომ რომ ის პირდაპირი ცი-ლისწამება მთელს ხალხზედ. ეს მოწ-მობა აბრალებს მეგრელებს მტკნარ უფუნურებას და თითქმის უმაგალითო სისულელეს ერთს დიდ-მნიშვნელო-ბიან საქმეში; აბრალებს იმისთანა სისუ-ლეულს, რომელსაც ვერ შეხედებით ვერც ერთს ერში, არამც თუ განათ-ლებულში, თვით უკანასკნელ უმე-ცარშიაც. ლოტენ ტოტებზედ გონე-ბით დაბალი ხალხი დედა-მწის ზურ-გზედ ძნელად მოიძებნება; მაგრამ ამათაც კი კარგათ ესმით, რომ ბავ-შვმა ჯერ თავისი ენა და წიგნი უნ-და შეისწავლოს და მერმე უცხო ენის და წიგნის სწავლას შეუდგეს; თორემ თუ ერთსა და იმავე დროს დაწყე-ბინებენ მათორი ენის სწავლასა, ერთად აჰკიდებენ ბავშვის გონებას ორს ტვირთ-სა, იგი ვერც ერთს ვერ მოერევა, ტვინი დაეჩაგრება, დაწყდება და ვერც ერთს საგანს ვერ შეისწავლის.

ბებურიშვილის და ბერიძის სიტ-ყვებიდან პირდაპირ ის გამოდის, ეი-თომც სამეგრელოს ხალხი ამ მხრით ლოტენ ტოტებზედაც დაბლა იდგეს. გამოდის, რომ მეგრელები იმდენად უკუთურნი არიან, რომ არ ესმით ყოველად მოუხერხებლობა და შეუძ-ლებლობა ორი ენის და ორ-გვარი წიგნის სწავლებისა ერთსა-და-იმავე დროსა. გამოდის, რომ მეგრელებს

მა, შენი სიკვდილის დრო მოსულა, უნდა შეგტამო!


სთქვა ესა და მივარდა ურაგოლე-ტას. მაგრამ, რადგან ურაგოლეტა მარჯვე და ახალ-გაზდა ქალი იყო, გამოუხსნლტა ხელიდამ, გაალო ფანჯა-რა და გადახტა ბაღში.

გამამაგებული კუდიანი დედა-ბერი გამოიკიდა, მაგრამ ფეხი მოედო ფან-ჯარას და თავ-დაღმა დაეცა დედა-მი-წაზე; დაემტვრია თავისი საშინელი ლოჯები, რომელზედაც დამოკიდე-ბული იყო მთელი იმისი ძლიერება და ღონე.

სახლის წინ ეგდო მკვდარი გვამი კუდიანისა.

დარჩნენ მარტო ბელეზონი და ურაგოლეტა.

ურაგოლეტა ჰფიქრობდა თავის მდგომარეობაზე. თავის ქვეყანაში ილა-ბრუნება აზრათაც არ მოსდიოდა, ვერ წარმოედგინა, სხვათა შორის იმიტომ, რომ ის იყო ობოლი და კიდევ



არ გაეგებათ ის უბრალო ქვეშაობა, რომ თუ უცხო ენის და უცხო წიგნის შესწავლას წინ არ უძღვის შეთვისება თავისი ენისა და წიგნისა, ეს შესწავლა შეუძლებელი ხდება, საფუძველი არა აქვს, ქვიშაზედ არის აშენებული და მალე ისე გაქრება ბავშვის გონებიდან, როგორც შარშანდელი თოვლი. ბამოდის, რომ აწინდელ მეგრელებს მთლად დაეწიყვებიათ ერთი თავიანთ წინაპრების ბრძნული ჰაზრი, რომელიც გამოიხატება ქართული ანდაზით: „ორი კურდღლის მღვერი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო“, და დაუყინებიათ: ჩვენი შეილება უთუოდ უნდა გამოაუყენოთ ერთსა და იმა დროს ორ კურდღელსაო, რომ... ვერც ერთი მათგანი ვერ დაიჭირონო.

შარსად აღარ შეიძლება სახელი გაუტეხოს კაცმა ხალხის ჭკუა-გონებას, როგორც ეს ჩაიდინეს სამეგრელოს ორმა მოხელეა. და როგორს ხალხს სწამებენ უგუნურებას და სისულელეს? იმ ხალხს, რომელიც სამართლიანათ ითვლება გონიერ და ნიჭიერ ხალხათა და თავისი გამჭრიახობით განცვიფრებაში მოჰყავს უცხო ტომთა მეცნიერნიც-კი.

ჩვენს ვაჟ-ბატონებს რომ ეთქვათ: ამეგრელოს ხალხს სურს, სხვათა შორის, რუსული ენის სწავლება სკოლებშიო, ეს მართალს ვგანებოდა და სამძახისს მიზეზს ვერაინ ვერ შეიტანდა; ამიტომ რომ მეგრელებს, უეჭველია, ბევრი სიკეთე ჰსურთ თავისათვის; მაგალითად: ხარჯის შემცირება, გონიერნი და სტინილისიანი მოხელენი და არა ცრუ-პენტელა და სულელები, დავლათის შექმნა, განათლება და სხვანი. და საკვირველი არ არის, რომ ამ სიკეთეთა შორის მათ სურდეთ რუსულს ენის სწავლებაცა თავისი შეილებსათვის. მაგრამ როცა ჩვენმა მეტიხარა ვაჟ-ბატონებმა წამოაშვეს ჰარველი დღეები და ჰარველი შენსწავლა ორი ენისა, მაშინ ამით დაამტკიცეს, რომ მეგრელების სურვილს კი არ აცხა-

დებენ, სხვას ვისმეს წადილს უკმევენ ჩინოფნიკურად, გაგონილს წადილს, რომელმაც ნახევარ წელსეად უკან დაიხია ამ ბოლოს ჟამსა, რადგანაც დაბრკოლება დახვდა წინ. ამ სახით ჩვენმა ვაჟ-ბატონებმა თავის ტყუილს თვითონვე ბოლო გამოაყოფინეს და თავისი მოწმობის სიფლიდე თვითონვე გამოამხილეს.

ასეთი ზნე სჭირს ჩინოფნიკურ ერთგულებას ყოველ საქმეში! ამ გვარი ერთგულება, ქვეყნის სასიკეთოდ, ყველთვის ამოაშვებს, სასაცილოდ ხდება და წადილის მოუწევარი რჩება... რუსული ენის გაგრძელება ჩვენს ქვეყანაში ბ. იანოვსკისეად მომეტებულიად, რა საკვირველია, არაისა ჰსურს. მაგრამ ამ პატივცემულმა გვაძამაც კი საქვეყნოდ ბეჭდით აღვიარა ახლა, რომ რუსული წიგნის სწავლება მხოლოდ მეორე წლიდან უნდა დაიწყოს ბავშვთა, როდესაც ქართულ წიგნში გავარჯიშდებო. ჩვენი ვაჟ-ბატონები კი გაიძახიან: პირველივე დღიდანაო, ჰარველითაო. რათა? შეეჭველია იმიტომ, რომ სხვისი გულ-წრფელობა არა სჯერათ და ჰგონიათ, მეორე წლის მაგივრად პირველი წელიწადი ჰსურთო, და, როგორც შემწვერის ჩინოფნიკს, უფროსის სურვილს წინ უსწრობს, რომ... მაგრამ განა იმათ არ ესმით, რომ ამისთანა წმინდა საქმეში ქვეშ-ქვეშობა შორს უნდა იყოს და გულ-წრფელობა უნდა სუფევდეს!

ჩვენს მეტიხარა ვაჟ-ბატონებს რომ ქვეშაობის შეტყობა სურეობდათ და გულ-წრფელი მოწმობა ამ წმინდა საქმეში, ისინი ამოიჩვენდნენ ერთად-ერთს სწორს გზას ამ საქმეში, სახელდობ: მიმართავდნენ სოფლის მასწავლებლებს, რომელიც მუდამ ხალხში ტრიალებდნენ, ემსახურებინ მას და რომელთაც ყველაზე უკეთ იციან ხალხის სურვილი და მოხონილება შესახებ განათლებისა. ამ პირთაგან ისინი უეჭველად გაიგონებდნენ შემდეგს: სამეგრელოს ხალხს სურს ჰარველად ქართული

დაავიწყდებოდათ. ამ სახლში დარჩენა, საცა იმოდენა წვალება და საშინელება გამოიარა, არ უნდოდა.

ბელგობანი კი თავის მხრით ბედნიერათ სთვლიდა თავის-თავს. ის იყო ბედნიერი იმიტომ, რომ შრაგოლეტას აქლავს იმყოფებოდა და მომავალზე სრულებით არ ფიქრობდა.

მრთხელ მოვიდა შრაგოლეტა ბელგობანთან და სთხოვა ამ სახლიდან განმათვისუფლო. ბელგობანს არ შეეძლო დაეჭირა, მაგრამ გაახსენა სუყველა სიკეთე, რაც იმან უყო შრაგოლეტას, რადენჯერ გადაარჩინა ის სიკვდილს და სთხოვა ცოლობაზე თანხმობა.

— ბრა, უპასუხა შრაგოლეტამ, მე ვერ შევირთამ კუდიანის შეილს.

— მაშ წადი, უთხრა საწყალმა ბელგობანმა, თუ კი შენ აქ არაფერი არ მიგიხიდავს. მაგრამ სანამ აქ დამტოვებდე მარტო, სადაც შენგან მო-

შორებული მოგკედები, დამიმტკიცე შენი მეგობრობა: მომეცი ხელი და მომიტევე ჩემი ჩამომავლობის, დაბადების ცოდვა, მომიტევე, რომ მე დედა-ჩემისგან ვარ შობილი. ნუ გავიყრებით როგორც უცხონი.

შრაგოლეტამ გაუშვირა ხელი. ბელგობანმა ჩამოართო და ტირილით აკოცა. შრაგოლეტა ნაზათ შეპყურებდა.

— მშვიდობით, შრაგოლეტა! შენ მიგაქვს თან ჩემი ბედნიერება, სიცოცხლე. ბედნიერი, ათას-ჯერ ბედნიერი იქნება, ვისაც შენ შეირთავ...

— ძარგი, სთქვა ახალ-გაზდა ქალმა, რადგან შენ ჩამომართვი ხელი, შენივე იყოს...

ბელგობანი აღტაცებით მივარდა და შემოხვია ყელზე. შრაგოლეტამ აკოცა მუხლზე; თან იცინოდა და თან ტიროდა კიდევ...

წიგნის შესწავლა ბავშვებისაგან იმდენად, რომ მათ შეეძლოთ წაიკითხონ თავისუფლად ყოველი საღმთო და საერო წიგნი, გაიგონ კარგად შინაარსი და გარდასცენ იგი, როგორც სიტყვით, ისე წერით;— მეორედ, შესწავლონ სხვა-და-სხვა ელემენტარული მეცნიერება და მოიციონ ღონე და ძალა ჭკუისა კეთილ-დღეობის აღსადგენად; და ბოლოს, რამდენათაც შესაძლებელია, შესწავლონ რუსული ენაც.

ეს გახლავთ ნამდვილი სურვილი მთელი საქართველოს ხალხისა და თვით მეგრელებისა. ეს სურვილი მტკიცედ იყო გამოცხადებული სოფლის მასწავლებელთ ორ კრებაზედ, რომელნიც გამართულნი იყვნენ: ობილისში 1878 წელსა და მუთაისში წარსულის წლია ზაფხულში.

მასწავლებელთ კრება ყველგან ითვლება დიდ ავტორიტეტათ ჩალხის განათლების მომართვაში და მისი გადაწყვეტილებანი უნდა შეურყეველნი იყვნენ. რათა? იმიტომ, რომ მასწავლებელთა პირით თვითონ ხალხი ღალატებს და აცხადებს თავის სურვილს, თავის მოთხოვნილებათა განათლების შესახებ და თავის მოსაზრების ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებლად...

მასწავლებელთ კრებამ ერთ-ხმად გადაწყვიტა:

სოფლების სკოლებში დაიდოს ოთხი წლის კურსიო, სწავლა ყველა საგნების ქართულ ენაზედ იყოსო თავიდან დაწყებული ბოლომდის და რუსული წიგნის სწავლება მესამე წლიდან დაიდოსო.

ეს გარდაწყვიტეს საქართველოს ორივე ცენტრში მასწავლებლებმა.

მთელი ობილისის და მუთაისის განათლებული საზოგადოება მხურვალედ თანუგრძნობს ამ გარდაწყვეტილებათა, მაინც იგინი უგონიერსს მოსაზრებათა და მათი განხორციელებისაგან, აღსრულებისაგან მოეღის დიდ სიკეთეს ჩვენი ქვეყნისათვის.

თავის დღეში ვერ შეიტყობს ადამიანი, თუ ქალის გულში რა ამბავი ხდება.

ორი დღის შემდეგ შრაგოლეტასა და ბელგობანის ჯვარის-წერა იყო.

ასე გათავდა ეს ამბავი. მაგრამ იკითხავთ— თუ შემდეგ რა მოუვიდათ ცოლ-ქმარს? ბელგობანმა დაიწყო თავის დედის საძაგელი ხელობა? ან შრაგოლეტა თავის მხრით დაბრუნდა ისევე კაცობრიობაში საცხოვრებლათ? ამ საგნის შესახებ მე მივწერე ერთ განთქმულ საცილიის სამეცნიერო აკადემიის წევრს და აი რა პასუხი მომივიდა:

„მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყოველად პატივ-ცემული ბატონო, ჩვენს ძველ მატყინებში ვერსად ვერ შევხვდი ვერც შრაგოლეტისა და ვერ ბელგობანის ხსენებას. მაგრამ მარ-

ორი მოხელე ქვეშაობის თავისი მანჩალობის გამოყენებით და რაღასაც ბოდვენ პირველ დღეებზედ და პარალელულ მეთოდზედ. სასაცილონი იქნებოდნენ, სამტირალონი რომ არ იყვნენ.

ო. სიმონიძე.

ახალი ამბავი

გნობა კასპიის იქითა მხრიდა.

წინააღმდეგე სკოლები იწერება: „ღამე 3 იანვარს ჩვენი ადგილების კარგა შემადგენის წყალობით დავინარჩუნეთ შეტაკების შემდეგ მტრის რამოდენიმე სიმაგრეები ოც საფეხზე მათ ბანაკად. ბევრი ეცადნენ, მაგრამ ამ ადგილებიდან ველარ გამოგდევნეს. 4-ს იანვარს, საღამოს 7 საათზე, მტერი სრულის თავის ჯარით დაგვესხა თავზე. შეიქნა საშინელი ხელჩართული ბრძოლა. მტერი უკუ გაქციეთ დიდს ზიანით.

ჩვენი ჯარი ძალიან ყოჩაღათ ომობდა. წინააღმდეგე სკოლები განსაკუთრებით მაღლობელია პოლკოვნიკის ძაზელკოვის და ძუროპატკინის. სტავროპოლის პოლკის პოლკოვნიკმა ტაკინსკიმ უკუ-აქცია ათ ჯერ მეტი უფრო ძლიერი მტერი. ამავე პოლკის უნტერ-აფიცურმა ძრეობოროდკომ განდევნა დიდ-ძალი ჯარი მტრისა ერთი ვზვოდით.

ჩვენი ზიანი: მოკლულია პრაპორშხოდკევიჩი, დაჭრილი: შტაბს-კაპიტ. როსტოვეცი, პორუჩ. რუნოვსკი და პრაპორშნიკები: აბაძიევი და ლაპატინსკი. ამათში, გარდა აბაძიევისა, ყველანი ხმალ-ხანჯლით არიან დაჭრილნი. მოკლულია 12 სალდათი და 78 დაჭრილი; მოკლულია 15 ცხენი და დაჭრილი 25.

შ-ს დაგვიჭრეს პოდპორუჩიკი თ. ხერხეულიძე, მოგვიკლეს ოთხი სალდათი და ორი ცხენი და დაგვიჭრეს 17 სალდათი და 6 ცხენი.

ბათუმში\* \* \* გაზეთ „მოლოსში“:

„ტო ჩემს სუსტ ცოდნას და სწავლას არ დავენდევი და დავეკითხე ყველა სამეცნიერო აკადემიების ჩემზე უფრო ჩინებულესს მომე-მეცნიერთა და სწავლულთა და იმათი პასუხი ის იყო, „სიცილიაში არასოდეს არ გაგონილაო, რომ ცოლიანი კაცი კუდიანი ყოფილიყოსო. მაშასადამე საფიქრებელია, რომ, შეირთო თუ არა ბელგობანმა შრაგოლეტა, იმ წამსვე თავის დედის ხელობა მიატოვა და გახდა სწორეთ ისეთივე ქმარი და კაცი, როგორც სხვები არიან.“

აი ეს აზრი და ცნობა მივიღე ამ საგანზე; ეს აზრი მე გონიერ და სარწმუნო აზრად მიმაჩნია. მაგრამ ამის გარდაწყვეტა ამ ჩემ ზღაპრის წამკითხველ კაცებისა და ქალებისათვის მიმინდვია.

„მწერლობაში ხშირათ იყო გამოთქმული ბათუმის მომავალზე აზრი, როგორც შესანიშნავ საეპარქიალურად...“

„აღკრები წელიწადია, რაც ბათუმი ჩვენს ხელშია და აბა რას ვხედავთ იქ იმ ნაირ ცვლილებას, რომელიც მ. მალეების დროს არ ყოფილა? მხედვეთ ყველაზე პირველად მთელ ურდოს მოხელეებისას, რომელნიც სარგებლობენ სახელმწიფო სახლებით...“

„რა საკვირველია, ბათუმი არ არის დამნაშავე, რომ ვერ გაამართლა ყველა ჩვენი იმედი, რომ იქ არც ვაჭრობა აყვავებულს მდგომარეობაში და არც ხელოვნობა...“

„რაც შეეხება იქაურ მცხოვრებლებს, ისინი თითქმის სუვერა გადადიან მსმალეთში ან აპირებენ გადასვლას...“

„ამ გადასახლებას ძალიან ცუდი შედეგი აქვს: თითქმის ყველა ადგილობრივი მოსავალი ისე გაძვირდა, რომ ერთი-ხუთად და ერთი-ათად ისე ყიდება...“

„ძალიან დიდი შეცდომა იქნება, ჩვენის მხრით, ეს გადასახლება ხალხის ფანატიზმს რომ მივაწერათ...“

ჩვენ გვაცნობებენ, რომ სიონის სობოროდამ მიუცია ერთი პირისათვის, ძვირფასი ანაფორები და სხვა სამკაული ეკკლესიისა იმ განზრახვით, რომ ამ პირს გადახატვა ჰსურს ამ ნივთებისაო...“

ჩვენ გვაკვირვებს ამ გვარი მოქმედება სიონის სობოროს გამგებლისა: ვინ არის და რითი პასუხის-მგებელი, ეს ნივთები რომ დაიკარგოს? ჩვენი მომანატრები უმისოთაც გაცარტულია და იცარტება და ვერ კადევ ვერ გავიგებთ, რომ ეს დამშობა როგორც ლეთისა, აგრეთვე ერისა; ვერ გავიგებთ, რომ ყველა ეს ძველი ნივთები ძვირფასი მასალია ჩვენ ძველ ცხოვრების ისტორიისათვის და მამასადავ, მომანატრების საკუთრებას კი არ შედგენს, არამედ მთელის ერისას...“

რუსეთის სატანტო ქალაქების გა...

ხეტებმა მოიტანეს ღენერალის ბარონ ალექსანდრე მესტატის ძის მრანგელის მიცვალების ამბავი...“

„ღ. რ. მ. მ. ა. მ.“

„ღ. რ. მ. მ. ა. მ.“

მარტვილი, 7 იანვარს. 15-ს იმ თვეს პატარა დაბამ ნაოლაღემა თითქმის მუდამ მიძინარემ და მიყრუებულმა, უეცრად ფერი იცვალა, გამოფხიზლდა, გამოცოცხლდა: მრავალი ხალხი, არა-ჩვეულბრივი მოძრაობა, ჯკუფ-ჯკუფად სიარული და გაცხარებული ბაასი—რალაც შესანიშნავს საქმეს გვინატვდა...“

ჩემს კითხვამდე—რა ამბავი მოხდამეთქი, მიპასუხეს: სუდში წაბრძანდით და მანდ შეიტყობთო...“

მავექანე მაშინვე სამსაჯულოსკენ, რომელიც ისე სავსე იყო ხალხით, რომ თითსაც ვერ შეყოფდით. პირველი ჩემი სიტყვა იყო—რა ამბავია?—“

— ბუშინ სადამოს ჩვენი სასწავლებლის უფროსს სცემეს რესტორაციაში და დღეს საქმის გარჩევა არისო...“

რასაკვირველია, ამ ამბავს მეც მივაქციე ყურადღება და დავწერილებით გამოვიკითხე. აი საქმე რაშია:“

სასწავლებლის უფროსს ბ. ხ—ეს დაკარგვია ფარანი, რომელიც ებოვნათ რესტორაციაში. ის რომ შიტიყო ხ—ვმა, მაშინვე წავიდა რესტორანში აღლევებული და უშგერი სიტყვებით მივარდა რესტორანის პატრონთან ფარნის გამოსართმევად. ამან თურმე კეთილშობილურათ, ზდილობიანათ უპასუხა, რომ ამ ფარნის გარემოება ჩემმა ბიჭმა იცის, მოვა და ის მოგცემსო. ამის პასუხად ბ. ხ—მა შეუკურთხა თურმე ქართულად; რესტორანის პატრონს ყელში სისხლი მოუვიდა, გარდმოხტა დახლიდან და იმდენი სცემა ბ. ხსასწავლებლის უფროსს, რომ ფარანი კი არა, დაბადებაც აწყველინა. ცემული და გვემული ხ—ვი გაიქვა ყვირილით პოლიციის პრისტავთან: „მიშველეთ! მიშველეთ! მცემს!.. პოტოკოლი!“ პრისტავმა იმ წამსვე პროტოკოლი შეადგინა...“

მეორე დღეს ორივე მხარემ შეიტანა საჩივარი სამსაჯულოში: ერთმა გალახავზედ, მეორემ რესტორაციაში მოხტომასზედ და შეურაცხყოფასზედ. იმ დღესვე შედგა საქმის გარჩევა. ბ. ხსასწავლებლის უფროსმა მსაჯულის წინ აღიარა, რომ რესტორაციის პატრონმა სასტიკათ მცემია. მართალია, მეორემ განაცხადა, რაც ღონე მქონდა ვსცემე და რომ შემძლებოდა, სულსაც არ შევარჩენდი; ისეთი შეურაცხყოფა მომაცენა სიტყვით და საქმითაცო. მართალია, ბ. ხ—ვი თანამ-

დებობის კაცია და განათლებული, მაგრამ მაშინ რესტორაციაში ესენი არც ერთი არ შამოყოლია, გარდა სეროტუკისაო...“

შველა მოწმებამაც აჩვენეს რესტორაციის პატრონის სასარგებლოთ; მაგრამ მსაჯულმა მაინც გაუჩინა მას სამი თვის საპყრობილოე. რესტორაციის პატრონმა საქმე გადიტანა უმალღეს სამსაჯულოში, სადაც იმედოვნებს საქმის მოგებას...“

დიდით სასურველი და სასიამოვნო იქნება ჩვენთვის, რომ ბ. ხსასწავლებლის უფროსი იქცეოდეს საზოგადოებაში ისე, როგორც შეესაბამება მის მდგომარეობას, თანამდებობას და მოვალეობას...“

ამ შემთხვევაში ერთი მხარეც არის შესანიშნავი: ჩვენ მოგვეჩიქა თანასწორობა სამსაჯულოის წესდებულების წინ მაინცა, მაგრამ, ჩვენდასაუბედუროთ, აქაც დათრგუნულ იქნა ეს ძვირფასი უფლება: ზემო-მოყვანილს შემთხვევაში საქმე განიჩა იმ დღესვე, რა დღესაც შემოვიდა საჩივარი, მაშინ, როდესაც სხვებს ამ გვარ შემთხვევებშიაც ენიშნებათ საქმის გარჩევა ორი-სამი თვის შემდგომონის შემოტანისა. მე კარგათ ვიცი, რომ ბ. ხსაჯულის ეს ბოროტ-მოქმედებით არ უქნია; მხოლოდ ამხანაგობრივმა გრძობამ დასძლია; მაგრამ საზოგადოება კი სულ სხვა ნაირათ შეხედავს ასეთს ქცევას. მისურვებს, რომ საწყალ კაცსაც ასე მსწრაფლად გაეღოს კარი მართლ მსაჯულებისა...“

მარტვილი

შორანის მახრამ, 7 იანვარს. შველასთვის სალაპარაკო ამბავი ეხლა არის აქ ერთი ბავშვის დაკარგვა. სოფელს ჯაღურთაში ერთ გლეხ-კაცს დაკარგვია ერთი თერთმეტი წლის ბავში შობის წინ ღამეს. ბავში, როგორც ამბობენ, მოსულელო ყოფილა...“

შობის წინ დღეს, როდესაც გლეხის ოჯახობა ფათურობდა და ემზადებოდა შობის დღესასწაულის შეგებებას, სალამოს დროს გამოსულა გარეთ და საჩხერისაკენ მიმავალ გზას დადგომია და წასულა. მით კაცს კიდევ უნახავს ეს ბავში მიმავალი საჩხერის გზაზე და ნდომებია დაბრუნება, მაგრამ ვერ დაუბრუნებია და თავი დაუნებებია. ამავე კაცს უნახავს ამ გზაზე წინეთ მიმავალი საჩხერელი ურიები...“

იმ დღეს აქეთ ეძებენ ბავშს, მაგრამ ვერაფერი ვერა გაიგეს—რა. ღღესაც წასულია პოლიცია და გამოძიებელი, მაგრამ არა ისმის—რა...“

აღვიღად შესაძლებელია ბავში შეირილას, რომ მიადგა საჩხერის სიხლოვეს, წყალში ჩავიდა და დაიხრჩო. მაგრამ, საუბედუროთ, ისეთი დიდი წყალია ეხლა, რომ ვერაფერს ვერ ნახავს კაცი, დახრჩველი რომ იყოს. ამისათვის საჩხერელი ურიები დიდ ხანს ექვ ქვეშ იქმნებოან...“

ამ შემთხვევის ორი-სამი დღის შემ-

დგე მუთათური რაფენი ქვეშ ჩვენი რელ ურიებს ტუქველი წყარები უცაბე არ არის უფრო ექვში შევიდენ ზოგიერთები...“

შხაროდეს ალექსანდროეს! მეორე 30,000 მან. მხათ იქმნება მისთვის! აქაც რამდენი ისარგებლებს ურიების ფულით,— თქვენ იანგარიშეთ!..“

—ნ ღ—ქ.

უსლოთი

საბარძნეთი. საბერძნეთი დიდ მზადებაშია მსმალეთთან საბრძოლველად და ძალიან უგულოთ უყურებს მერობის სახელმწიფოების ჩაგონებებს, რომლებზედაც აი რას ამბობს ტუმუნდუროსი: „თვითონ მერობის სახელმწიფოები არიან იმის მიხეზი, რომ ეხლა საბერძნეთი ამ გვარ მზადებაშია: ისინი არ იყენენ, სულ ახალი წესები შემოიღეს აღმოსავლეთისაკენ, მისცეს ნება რუსეთს მსმალეთის დამცირებისა, ააგულოიანეს მსმალეთის ქვეშევრდომნი და გააბედინეს ამათ თავისუფლებისათვის ბრძოლა და საბერძნეთს ახალი სამზღვარი გაუზახეს! მხლა საბერძნეთი მხოლოდ იმას თხოულობს, რაზედაც აქეს უფლება თვითონ მერობის გარდაწყვეტილებით და განსაკუთრებით საფრანგეთის აზრით...“


„მთ წარსულ ომიანობის დროს შეიკავა საბერძნეთმა თავი და მსმალეთის წინაღმდეგ ომში არ გაერია, ეხლა კი არ შეუძლია არ მოეგზადოს ყოველ შემთხვევისათვის, რადგანაც შეხედა რაც დღე დაადგა ჩერნოგორიას. მართებლობას არ შეუძლიან დაუთმოს რამე მსმალეთს იქიდან, რაც მიენიჭა მას ბერლინის ძონგრესის გადაწყვეტილებით. საბერძნეთი იმ შემთხვევაში განდებთ თანახმა მედიატორობით ჩჩევისა, თუ ეს რჩევა დაფუძნება ბერლინის ძონგრესის გარდაწყვეტილებას. მაგრამ ცხადათ სჩანს, რომ მსმალეთი არ დათანხმდება მესილიის და ძირის დათმობაზედ. მამასადავმე საბერძნეთს, სამწუხაროდ, ერთილა დარჩენია, რომ იარალს მოჰკიდოს ხელი“...“

საბერძნეთის გახეტებაც იმას ამბობენ, რომ ომი თუნდ მედიატორობითი ჩჩევაც მოხდეს, მაინც არ შეიძლება არ ატყდეს მსმალეთსა და ჩვენ შუაო...“

ნარევი

შარყის მუნციბალურმა გზებს (ქალაქის რჩევამ) გადაწყვიტა ქალაქის სიზინიდან განათების სარჯათ 1881 წლისთვის 16,897,700 ფრანკი (თითქმის 7 მილიონი მანეთი) დაინიშნოს. 1869 წელს (იმპერის უკანასკნელი წელიწადი) შარყმა სხსლხო განათებისათვის მხოლოდ 6,350,000 ფრანკი (2 მილიონი მან.) დასხრჯა...“

ამ სამის წლის წინათ მიცვალებულის



საბჭოთაო  
საბჭოთაო

მ უ თ ა ი ს უ ი

# „ივანე ნიკოლაძის და შვილების“

მოდის მაღაზიაში

ისე იდება ყველაფერი რაც გინდა სულა და გულა:

მანდილონების ტანისამოსი, ოქროულობა, დიდ-ძალი და ჩინე-ბული შუშეულობა, მშვენიერი საცვალი კაცისა და ქალების გასაოცარ საფად. წარმოიღვინეთ: პარიჟში საგანგებოდ შეკერილი უპირველესი ხარისხის პერანგები თითო 3 მან. 75 კ. იყიდება! მარდა ამისა სა-ზღვარ-გარეთის ჩინებული ჩექმები, რომელთაც სიმბატონი აქვს ნა-ჭედისა და სილგილე ნაძროვისა; ძალიან ბევრი სათამაშოები ბაე-შებისათვის და სხვ. და სხვ.

ერთი სიტყვით, ვისაც რა გნებავთ, შეგძინათ „ივანე ნიკო-ლაძის და შვილების“ მოდის მაღაზიაში და იქ იპოვით ყველაფერი ძალიან ხელ-მიხატვამ ფასად, ასე რომ შემდეგში მუდამ მადლობელი იქნებით ამ მაღაზიისა (10-5)

მინიგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რეკლავურები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მაღაზიაში. საგეტო ბარნსბის უნაგრების გასას-ყოფლათ; ჯონსის კლიტებისა, შოკო-ლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ჭრანის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფ-ლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არმატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიგით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იედიან ბლამთ ინგლისის მადანაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. სველების კონ-ჭეტები 60 კ. ერთი გირვანქა. 100-3

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-გალითებრ: თოფებისა, რეკლავურებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოფრებისა, ჩაინიგებისა, შო-კოლადისა, კაკაოსი, დუსებისა, საშონი-სა, შოკოტებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-ლადისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნა-გრებისა, სუგრისისა (გემრიელი ვლეშე-ვინი ზეთისა) და სხვ. საგეტო მა-გისტრის მოსახურავებს გასასყიდლად განთავსების და ბატკონის და კამპ. მუ-რანისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდუ-ბისა ნოტინგამიდაშ. ნამდვილი ჭვანახს სიგარები. (100-3)

ინგლისის მაღაზიაში ისე იდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლე-ბა ოცი ავანკის ერთად მოკლა, ფა-სა 1 მან. 50 კაპ. შეეღა ინგლისის იარაღები ისე იდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან. (20-6)

ზოტლანდიის ქუდები — 1 მან. 25 კაპეიკად, ყმაწვილის წინდები, ღუფინი—1 მან. და მეტი, ტანისამო-სის ცოცხი 50 კაპეიკად, ბრტანის მეტალის ჩაინიგები—1 მანეთიდან და სხვა—ისე იდება ლონდონის მაღა-ზიაში, პამფრესკი ბანკის ქვეშ. 10-9

ლონდონის მაღაზია პრეენის მოედანზე № 2, კომერ-ციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიანტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩაის გასასყიდველად და საუ-კეთესო ინგლისის საქონლებისა, მა-გალითად: თოფების, რევოლვერები-სა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიე-ლი სუკრის ეროზო, სასურნებელის, საშონის, ცხვირ-სახოცების, შოტოკი წინდების, ჩუქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100-16)

ლონდონის მაღაზიაში კომერ-ციული ბანკის ქვეშ: საზამთრო ქუდები 2 მ. კარგები 4 მ. და 50 კ. ბავშვების წინდები, სტაქნები, სა-ჩაეები და სხვ. ძალიან იაფათ ისე ი-დება. 10-10

## შაბთხვევით

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელეუ-ლით ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისე იდება: პირველის სო-რ-ტის 3 წლის ხერესი და პორტვინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე ისე იდება 5,000 ფანდონი და გასაღებები 8 კაპ., ინგ-ლისის რევოლვერი 4 მანეთიდან 35 მანეთამდინ, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. ღუფინი, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ. 20-18

ინგლისის მაღაზიაში

თქვენი სურვილი  
საქონელი  
დასაყიდებელი  
მარტივად

ამაგრებს თქვს და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., ტატუაჟით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისე იდება ქინის ზომად თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტებო-თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუ-ფეტის საშონი, დუსები და სხვ. (150-28)

### პატენტირანი შოტაპები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენ-ბისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სასურავებოთ 2 მანეთიდან; საწმეკე 30 კაპ.; რუქები 5 კ.-დამ; ფილტრუ-ბი (წელის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გვადრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუქ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლი-სურს მაღაზიაში. (100-75)

მთელი ვაზონი გემრიელი მურა-ბები—1 მან., პორტ-ვინი და ხერე-სი—ბოთლი 1 მან. 20 კაპ., კონია-კი—2 მან.; დიდი ძალი საუკეთესო

ჩაი—1 მან. 5 კაპ. 2 მანეთამდინ ინგლისის მაღაზიაში. 10-10

შენიშნვა  
რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი. თმის გასამაგრებელი მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისე იდება, ამის გარე-ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლად 2 მანეთად ღირს. (100-92)

## ინგლისის მაღა-ზია

Maison de confiance

შეადარეთ ხევი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ

— — — 1—20	— — — 1—60
— — — 1—40	— — — 1—80
— — — 1—60	— — — 2—
— — — 1—80	— — — 2—50

საუკეთესო—2— „ — — 3— „

იქვე ისე იდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაინიგები, გასაღებები, და-ნები, კოფრები, ტამტები, კალმები, ქალაღი, შოკოლადი, კაკაო, კანფე-ტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირი-ბი, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში, მინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-დან 1000 მანეთამდინ საქონელს გა-მოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100-77)

მთელი ტანისამოსი ანუ პალტო—15 მანეთად. რევოლვერები—4 მა-ნეთიდან, ხველის კანფეტები გირვანქა 60 კაპ. მინაქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის—1 მან. და 50 კაპ. ხერესი და პორტ-ვინი—1 მან. 20 კაპ. ინგლისის მაღაზიაში. 10-10

## ბანსხალბანი

არწრუნის თეატრში  
ოთხშაბათს, 14 იანვარს

I  
პარიჟელი კინტო  
ძომეღია ორს მოქმედებდა

II  
ღივარტისმედი  
III  
პოტია  
შოდველი ერთ მოქმედებდა.

ბილეთები ისე იდება არწრუნის თე-ატრის კასსაში.  
დასაწყისი 8 საათზე.

## ისპიდვა პიანინო

მარადის ფაბრიკის ტატო ბაბა-შვილის სახლებში, ოლგინის ქუჩა-ზე. (2-1)

## მირავდება სახლი

მ. ივ. ორბელიანისა, ბალის პირ-დაპირ, მტკვრის ნაპირას, სულ 15 ოთახია, თავის სარდაფებით, ორი სა-რაით და ყველა მოწყობილობით. დაწერილებით პირობის შეტყობა შეიძლება აქვე. (3-1)

მიუხედავამ იმისა, რომ ბაყა მოი-მატა, საქონელი გაიყიდა ისე იმ ფა-სად, როგორც წინეთ იყო: კონგა-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო